



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #57

ოქტომბერი-ნოემბერი, 2016

გამოშვებაში  
წაიკითხავთ

GITI 2016

1

CYBER-EXE

3

საქართველო 2016

ელ-

4

მმართველობის  
სტრატეგიის  
განახლების  
საკითხებისადმი  
მიმდენილი  
სამუშაო  
შეხვედრა

“კიბერკლასის”  
პროექტის  
მონაწილეებს  
სერტიფიკატები  
გადაეცათ

5

ელექტრონული  
იდენტიფიკაცია,  
უსაფრთხო  
სერვისები, კიბერ  
და  
ინფორმაციული  
უსაფრთხოება -  
სემინარი  
ბრიუსელში

5

„მონაცემთა  
გაცვლის  
სააგენტოში“  
საერთაშორისოდ  
ადიარებული  
სერტიფიკატების  
მფლობელთა  
რაოდენობა  
იზრდება

6

საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების IX რეგიონული კონფერენცია „GITI 2016“



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და „ICT ბიზნესსაბჭოს“ ორგანიზებით სასტუმრო „ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისში“ კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საკითხებზე ყოველწლიური რეგიონული კონფერენცია გაიმართა. ღონისძიება, რომელიც წელს

მეცხრედ იმართება, ტრადიციულად, იუსტიციის მინისტრმა გახსნა:

„ყოველი მომდევნო კონფერენცია განვითარების ახალ საფეხურზე გადადიოდა. დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და „ICT ბიზნესსაბჭოს“ ორგანიზებით გამართული ღონისძიება ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში რეგიონული მასშტაბის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც თავს უყრის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო სფეროში ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნების წამყვან მოთამაშეებს, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციამ თავისი არსებობის განმავლობაში შექმნა საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობის უნიკალური მოდელი, რომლის მიხედვითაც, ორივე მხარე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიმართულების განვითარებისთვის ერთობლივი ძალისხმევით მუშაობს“, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) წლევანდელმა კონფერენციამ, რომლის დევიზი იყო „პარტნიორობა კონკურენციის, ინოვაციებისა და კიბერუსაფრთხოებისთვის“, რეკორდული რაოდენობის სტუმარს უმასპინძლა. მის მუშაობაში მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყნის 500-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ელექტრონული მმართველობის განვითარების საკითხებს, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების პროექტებს, ასევე, ამ პროექტებში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პროცესს.

ღონისძიების მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების საკითხები განიხილეს, წარმოადგინეს წლის განმავლობაში შემუშავებული ინოვაციური IT პროექტები და სხვადასხვა ქვეყნის წარმატებულ მაგალითებს გაეცნენ, ასევე მოისმინეს ცნობილი ექსპერტების პრეზენტაციები კიბერუსაფრთხოების თემებზე.

კონფერენცია, ტრადიციულად, დაჯილდოების ცერემონილით დასრულდა. წელს კონკურსში 50 პროექტი იყო წარდგენილი როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან. მათგან საუკეთესოები კომპეტენტურმა ჟიურიმ 15 ნომინაციაში გამოავლინა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სტრუქტურებიდან გამარჯვება მოიპოვეს საჯარო რეესტრისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოებმა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2 ჯილდოს მფლობელი გახდა. საჯარო რეესტრმა 1 ჯილდო „საუკეთესო IT მენეჯმენტისთვის“ მიიღო, ასევე ნომინაციაში "საუკეთესო ონლაინ საინფორმაციო წყარო" რეგისტრაციის „Blockchain“ ტექნოლოგიაზე დაფუძნებულმა პროექტმა მოიპოვა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოც 2 ჯილდოს მფლობელი გახდა. სერვისების განვითარების სააგენტომ პირველი ჯილდო ყველაზე ინოვაციური ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებისათვის, ხოლო მეორე ჯილდო ინფორმაციული უსაფრთხოების საუკეთესო მენეჯმენტისათვის მოიპოვა.





## “CYBER-EXE საქართველო 2016” - კიბერსაფარჯიშო საჯარო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხარდაჭერით კიბერუსაფრთხოების იმიტირებული სავარჯიშოები - “CYBER-EXE საქართველო 2016” გამართა.

აღნიშნული ღონისძიების მიზანია საჯარო და კომერციული ორგანიზაციების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების მომზადება კიბერშეტევების კრიზისული სიტუაციებისთვის, რაც ხელს უწყობს ქვეყნისა და, შესაბამისად, მოქალაქეების დაცულობას ამ მიმართულებით.

ღონისძიება გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, **მიხეილ სარჯველაძემ**, რომელმაც აღნიშნა: “ჩვენი სახელმწიფო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის კიბერუსაფრთხოების დონის ამაღლებას. შეუძლებელია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრების გარეშე როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციებში. მოხარული ვარ, რომ უკვე მესამედ საქართველოში, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურის შესაბამისი პროფილის თანამშრომლებს საშუალებას ვაძლევთ მონაწილეობა მიიღონ რეალურ სავარჯიშოებში

და გამოსცადონ საკუთარი თავი იმიტირებული კიბერშეტევების გაუვნებელყოფის პროცესში”, - განაცხადა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ.

აღნიშნული სავარჯიშო შეჯიბრის ხასიათს ატარებს, რომლის დროსაც თითოეული მონაწილე ორგანიზაციის გუნდი წინასწარ მომზადებული კიბერშეტევის პირობებში ახორციელებს ვირტუალური სივრცის დაცვის ოპერაციას.

სავარჯიშოს შედეგად გაანალიზდება თითოეული გუნდის სუსტი და ძლიერი მხარეები და გუნდების გაძლიერების მიზნით მომზადდება რეკომენდაციები. მსგავსი ფორმატი მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა და მას “წითელი და ლურჯი” ჯგუფების სავარჯიშოებს უწოდებენ.

„როდესაც 2014 წელს „Cyber-Exe საქართველო“ პირველად ჩავატარეთ, მაშინ არ გვქონდა სათანადო გამოცდილება და ჩვენი უცხოელი კოლეგები გვეხმარებოდნენ სავარჯიშოების შედგენის, მთლიანად ღონისძიების ფორმატის ფორმირების საქმეში. ახლა სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ „Cyber-Exe საქართველო 2016“ მთლიანად „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ რესურსებით არის ორგანიზებული. დღევანდელ ღონისძიებაში 20-მდე სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სექტორის წარმომადგენელი გაერთიანდა ქვეყნისთვის ამ მეტად მნიშვნელოვან მიმართულებაზე სამუშაოდ. იმედი მაქვს, რომ მსგავსი სავარჯიშოები ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო გააძლიერებს კიბერსაფრთხოებაზე ბრძოლის საქმეში.“, - აღნიშნა **ნიკოლოზ გაგნიძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა.

ღონისძიებაში 18-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. მონაწილეებს შორის იყვნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სტრუქტურების შესაბამისი მიმართულების სპეციალისტები. ღონისძიება ტრადიციული ხასიათისაა და უკვე მესამედ ჩატარდა. პირველი “CYBER-EXE საქართველო” 2014 წელს გაიმართა.



## ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში საქართველოს ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის განახლების თემისადმი მიძღვნილი სამუშაო შეხვედრა გაიმართა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ და ევროკავშირის დაფინანსებული საჯარო სამსახურების დამმობილების პროექტის – „ელექტრონული მმართველობის გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში II“ ორგანიზებით სასტუმრო „რუმს ჰოტელ თბილისში“ მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელიც საქართველოს ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის (e-Government Development Strategy of Georgia) განახლების საკითხებს მიეძღვნა.

ელექტრონული მმართველობის განვითარების სტრატეგია უცხოელი ექსპერტებისა და ქართული მხარის მჭიდრო თანამშრომლობის პირობებში მუშავდება. სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მმართველობის მქონე ქვეყნის წინსვლასა და შემდგომ განვითარებას, რაც გულისხმობს ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდას როგორც მოქალაქეებისთვის, ისე ბიზნესისთვის, საქართველოში გამჭვირვალე და ჩართულობაზე დაფუძნებული საჯარო მმართველობის გაძლიერებას, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლის განსაზღვრას ადმინისტრაციული რეფორმის განხორციელების პროცესში და სხვა.

სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელეს იმ მიმართულებებზე, რომლებსაც მომდევნო ორი წლის განმავლობაში ელექტრონული მმართველობის განვითარების სტრატეგია განსაზღვრავს და რომლის საბოლოო ვერსიაც საქართველოს მთავრობამ უნდა დაამტკიცოს.

სტრატეგიის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა:

„ჩვენს ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. ეს დოკუმენტი არის ერთგვარი გზამკვლევი, რომელშიც ეფუძნება საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცდილებას და პრაქტიკაში არსებულ საუკეთესო სტანდარტებს. სტრატეგია აერთიანებს ყველა სახელმწიფო უწყებას და უსახავს მათ იმ საჭირო ღონისძიებებს, რომელთა შესრულებაც საქართველოს აქცევს ელექტრონული მმართველობის მდგრადი მოდელის მქონე ქვეყნად“, - განაცხადა **ირაკლი გვენეტაძემ**.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მთავრობის ადმინისტრაციის, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროების, ასევე სხვა ყველა იმ სახელმწიფო და საჯარო უწყების წარმომადგენლებმა, რომელიც ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების მიმართულებით მუშაობს. უცხოელი პარტნიორების მხრიდან დოკუმენტის შესახებ საკუთარი რეკომენდაციები წარმოადგინეს ბრიტანელმა, ავსტრიელმა, ესტონელმა და დანიელმა ექსპერტებმა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ელექტრონული მმართველობის გაძლიერების მხარდაჭერა საქართველოში II“ საჯარო სამსახურების დამმობილების ორწლიანი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ელ-მმართველობის სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობას.





## “კიბერკლასის” პროექტის მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ. „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის CERT.GOV.GE-ს მიერ ორგანიზებული „კიბერკლასის“ მეორე ნაკადის მსმენელებს სერტიფიკატები გადაეცათ. სასწავლო კურსი მიზანდასახვდა პერსპექტიული ახალგაზრდა სპეციალისტების დახმარებას კიბერუსაფრთხოების საფუძვლების ათვისებაში, ასევე მათთვის სააგენტოში ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნის გაზიარებას.

პროექტი “კიბერკლასი” სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოიმუშაონ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები შემდეგ დისციპლინებში: სისტემაზე ინფორმაციის შეგროვება, კომპიუტერული ექსპერტიზა, შეღწევადობის ტესტირება, მავნე კოდის ანალიზი, ე.წ. „Pcap“ და ლოგ ფაილების

ანალიზი, ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები.

იმისათვის, რომ სტუდენტი ჩარიცხულიყო აღნიშნულ კურსზე, მას მოეთხოვებოდა საბაზისო ცოდნა შემდეგ სფეროებში: ე.წ. ნეტვორკინგი, კრიპტოგრაფია და ვებ-დეველოპმენტი (Networking, Scripting, Web development).

სრული კურსი მოიცავდა 7 სასწავლო კვირას. კვირაში გათვალისწინებული იყო 2-3 საათიანი ლექცია. ყოველი ლექცია თეორიულ მასალასთან ერთად მოიცავდა სპეციალურ ლაბორატორიულ სამუშაოს. კურსისთვის მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელოები და პრაქტიკული სავარჯიშოები, ასევე მოწვეულ იქნა არაერთი ექსპერტი და დარგის სპეციალისტი კონკრეტული თემის მიხედვით პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად.

თითოეული ლექცია შემდეგი გეგმის მიხედვით ჩატარდა: პრეზენტაცია და წინასწარ დაგეგმილი თემის მოკლე განხილვა; ლაბორატორიულ სამუშაოების ირგვლივ დისკუსიები და სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციების განხილვა; წინასწარ განსაზღვრული თემის შესახებ მასალის მიწოდება; ლაბორატორიული სამუშაოს ახსნა და დავალების მიცემა.

„ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვეწყოს ახალი პროექტი, რომელსაც „კიბერკლასი“ ვუწოდებთ და რომლის მიზანია ახალგაზრდებს მივცეთ შესაძლებლობა უფასოდ გაიღრმავონ ცოდნა ისეთ სფეროში, როგორცაა კიბერუსაფრთხოება. პროექტმა გაამართლა და დღეს ჩვენ მსმენელთა უკვე მეორე ნაკადს გადავცით სერტიფიკატები. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც, ბუნებრივია, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მქონე სპეციალისტები ესაჭიროება. ეს არის უნიკალური შანსი ახალგაზრდებისთვის, უშუალოდ დარგის სპეციალისტების მიერ მომზადებული სასწავლო პროგრამის მიხედვით შეიძინონ საბაზისო ცოდნა კიბერუსაფრთხოების საფუძვლებში“, - აღნიშნა **დავით ქვათაძემ**, CERT.GOV.GE-ს მენეჯერმა.

## ელექტრონულ იდენტიფიკაცია, უსაფრთხო სერვისები, კიბერ და ინფორმაციულ უსაფრთხოება - სემინარი ბრიუსელში



2016 წლის 12-13 ოქტომბერს ევროკომისიის ხელმძღვანელობით HDM (Harmonization of digital market) პროექტის ფარგლებში ბრიუსელში ჩატარდა პირველი სემინარი, რომელიც მიემდგვნა ელექტრონულ იდენტიფიკაციას, უსაფრთხო სერვისებს, კიბერ და ინფორმაციულ უსაფრთხოებას (electronic identification and electronic trust services (eIDAS) and cyber security).

სემინარის მიზანი გახლდათ ჩამოყალიბებულიყო გზები და საშუალებები, რაც შესაძლებლობას შექმნის აღნიშნული მიმართულებით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, ერთი მხრივ, დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ხოლო, მეორე მხრივ, ევროკავშირის ქვეყნებს, რაც საბოლოო ჯამში შექმნის ერთიან სამოქმედო ჩარჩოს (გაგრძელება გვ. 6).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 5) სემინარზე წარმოდგენილი იყვნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსია), ასევე მონაწილეობდა ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა (ფინეთი, ლუქსემბურგი, ესტონეთი, ლიტვა).

აღნიშნულ სემინარზე საქართველოს წარმომადგენლებს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თანამშრომლები.

სემინარის ფორმატის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა მონაწილე ქვეყნების მხრიდან გამოცდილების, მიღწევებისა და შესაძლებლობების გაზიარებას ელექტრონული იდენტიფიკაციის, უსაფრთხო სერვისების, ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით, ხოლო მეორე ნაწილი განკუთვნილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების დამუშავებისა და შეთანხმებისთვის, როგორებიცაა: სამოქმედო გეგმა და თანამშრომლობის პროტოკოლი.

## საერთაშორისო მასშტაბით „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თანამშრომელთა კომპეტენციის აღიარება გრძელდება



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT.GOV.GE) წარმომადგენელმა საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული მორიგი სასერტიფიკატო პროგრამა წარმატებით გაიარა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით შესაბამისი სერტიფიკატი მიიღო.

CERT.GOV.GE-ს უმცროსმა სპეციალისტმა **ლამა ხასაიამ** ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების სერტიფიცირებული პროფესიონალის (CISSP®) გამოცდა წარმატებით ჩააბარა და შესაბამის სერტიფიკატს დაეუფლა.

„ჩენ დიდ ყურადღევას ვუთმობთ თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. როდესაც ვსაუბრობთ კიბერ და ინფორმაციულ

უსაფრთხოებაზე, უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ ამ სფეროში მიდგომები თითქმის ყოველდღიურად იცვლება და იხვეწება - თავიანთ მეთოდებს აუმჯობესებენ როგორც ე.წ. ჰაკერები, ისე მათ წინააღმდეგ მოქმედი სპეციალისტები. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, გუნდში გვყავდეს განახლებული ცოდნის მქონე პროფესიონალები, რომლებიც უკეთ შეძლებენ თანამედროვე გამოწვევების გამკლავებას. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომლებიც აქტიურობენ. მათ წელს უკვე მესამე საერთაშორისო დონის სერტიფიკატი მოიპოვეს“, - **დავით ქვათაძე**, CERT.GOV.GE-ს მენეჯერი.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თანამშრომლები ფლობენ შემდეგ საერთაშორისო სერტიფიკატებს: ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული მენეჯერი (CISM); ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული აუდიტორი (CISA); ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული მმართველი (CGEIT); ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების სერტიფიცირებული პროფესიონალი (CISSP®); სისტემებისა და ქსელის აუდიტორი (GCIH); Hacker Tools, Techniques, Exploits and Incident Handling (GCIH); Secure Coding in Java/JEE: Developing Defensible Applications (GSSP-JAVA).

იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ.	2
თბილისი 0102, საქართველო	
ტელეფონი: (+ 995 32) 291	51 40
ელ.ფოსტა: <a href="mailto:info@dea.gov.ge">info@dea.gov.ge</a>	

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრიროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ